გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 87

2020 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ.66.46.26.003.610; 468 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ქ. გორში მიმდინარეობს ბარნოვის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩიდან რომელაშვილების ქუჩამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოების განხორციელების არეალში მდებარეობს ქალაქ გორში, სტალინის გამზირის მიმდებარედ, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.31.139; 180 კვ.მ.) სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მიხედვით, აუცილებელია განხორციელდეს მიწის ნაკვეთების გაცვლა მუნიციპალიტეტსა და მითითებულ ფიზიკურ პირს შორის. აღნიშნულის თაობაზე კერძო პირთან მიღწეულია შეთანხმება, რასაც საფუძვლად დაედო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2020 წლის 29 მაისის (№ 5002823520) და 2019 წლის 04 ოქტომბრის (№ 5006366119) მიწის ნაკვეთების შეფასების შესახებ აუდიტორული დასკვნები.

ვინაიდან ქ.გორში, ბარნოვის ქუჩის სარეაბილტაციო სამუშაოების განსახორციელებლად აუცილებელია ქალაქ გორში, სტალინის გამზირის მიმდებარედ, კერძო პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.31.139; 180 კვ.მ.) გადაეცეს გორის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, ამავე დროს, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია უფლებამოსილება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გაცვალოს სხვა მიწის ნაკვეთში, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 468 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.26.003.610 (ნაკვეთის წინა კოდი 66.46.26.003/068) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ს/კ 66.45.31.139; 180 კვ.მ.) გაცვლის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და 108-ე მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 468 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.26.003.610 (ნაკვეთის წინა კოდი 66.46.26.003/068).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე